მწვანე ალტერნატივა
0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
greenalt@greenalt.org

7 ნოემბერი, 2018
#04/03-675

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

კვლავ მოგმართავთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილი პროცედურების დარღვევების თაობაზე. მიუხედავად, ჩვენი არაერთი მომართვისა სამინისტრო განაგრძნობს ამ მეტად მნიშვნელოვანი პროცესის კანონით დადგენილი ვადების დარღვევით წარმართვას.

დანართში წარმოგიდგენთ 5 და 7 ნოემბერს დაწყებული პროცესების (კომენტირებისათვის დოკუმენტების გამოქვეყნებისა და საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების) დარღვევით მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას.

გთხოვთ, მიიღოთ შესაბამისი ზომები კანონის მოთხოვნის პერმანენტული დარღვევის აღმოსაფხვრელად.

დანართი: 1 ფურცელი

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე

აღმასრულებელი დირექტორი

დოკუმენტების გამოქვეყნება განსახილველად

განცხადების დასახელება	გამოქვეყნების თარიღი	სამინისტროს მიერ განსაზღვრული თარიღი მოსაზრებების წარსადგენად	კოდექსით განსაზღვრული ვადა	კოდექსის შესაბამისად წარდგენის თარიღი
სკრინინგის განცხადება - შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წესი-ურავის საავტომობილო გზის მე-5 კმ-ში დაზიანებული მონაკვეთის აღდგენის სამუშაოები და მის მიმდებარედ მდინარის ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის პროექტი	5.11.2018	13.11.2018	განთავსებიდან 7 დღე	14.11.2018
სკრინინგის განცხადება - ახალციხის მუნიციპალიტეტში, შპს „მერიდიანი 2006“-ის ვულკანური წიდის(პემზის) საფრქვევი დანადგარის ფუნქციონირების პროექტი	5.11.2018	13.11.2018	განთავსებიდან 7 დღე	14.11.2018
სკოპინგის განცხადება და ანგარიში - ქ. ხაშურში, შპს „ქსენიიას“ ფენოლფორმალდეჰიდური ფისის მიღებისა და მის ბაზაზე „ყვავილის“ ღრუბელის დამამზადებელი საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი	5.11.2018	23.11.2018	განთავსებიდან 15 დღე	26.11.2018
სკრინინგის განცხადება - ყვარლის მუნიციპალიტეტში, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების პროექტი	7.11.2018	15.11.2018	განთავსებიდან 7 დღე	16.11.2018
სკრინინგის განცხადება - ქ. ბათუმში, შპს „სან პეტროლიმ ჯორჯიას“ ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი	7.11.2018	2018 წლის 15 ნოემბერი	განთავსებიდან 7 დღე	16.11.2018

საჯარო განხილვები

განცხადების დასახელება	გამოქვეყნების თარიღი	საჯარო განხილვის სამინისტროს განსაზღვრული თარიღი	გამოქვეყნების კოდექსით განსაზღვრული ვადა	ჩატარების კოდექსის შესაბამისად წარდგენის თარიღი
სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - დუშეთის მუნიციპალიტეტში შპს „სოლო ენერჯის“ 8.35 მეგავატი სიმძლავრის ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი	5.11.2018	16.11.2018	ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 დღისა	19.11.2018